ქართული ნავთობი

ქალაქი უკვე გაებრწყინებინა საშობაო გირლიანდებს. გურამის ჯალაბობა ახალ წელს ყოველთვის სოფელში ხვდებოდა. წელსაც ეს ტრადიცია არ დააღვიეს. ეკას წესად ჰქონდა საშობაოდ ,,გენერალური დასუფთავებას,, წიგნების თაროებიდან იწყებდა, თუ ნახავდა ძველ გამოცემას გაყვითლებული წიგნებით მაკულტატურისთვის გადადებდა. ახლა მამამთილის სახელმძღვანელო გადმოეღო ,,საქართველოს გეოგრაფია,, და ის იყო მაკულტატურას უნდა შემატებოდა, გუგამ გამოართვა და პაპას მიუტანა. გურამიმ გადაშალა თავისი სახელმძვანელო, ის სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. უცბათ ერთგვარი ნოსტალგია მოეძალა აუდიტორიის. გუგა გვერდით მოისვა და დაუწყო ახსნა. აჩვენა ყოფილი ჭაბურღილები, ჯერ კიდევ შავ-თეთრი ნახაზით რომ აჩნდა გაყვითლებულ ფურცლებს.

-აი ეს საგარეჯოს ჭაბურღილია, ეს ნინოწმინის, ეს პატარძეულის, ეს თელეთის. იცი, გუგა, გასულ საუკუნეში საქართველო სამ მილიარდ ტონა ნავთობს აწარმოებდა. ბევრია მაღალდებატიანი საბადოებიც, რომლებიც შეუსწავლელია. აი აფხაზეთს თუ დავიბრუნებთ, ეს მარაგი გაათკეცდება.

-აფხაზეთი რა შუაშია? ვერ მიხვდა გუგა და ძალაუნებურად თვალი კედელზე ჩამოკიდებული ბიძის სურათისკენ გაექცა.

- შავი ზღვის შელფი სადაც დიდი რაოდენობითაა ნავთობი, მთლიანად აფხაზეთის ტერიტორიაზეა. ჩემი ვარაუდით, საქართველოს აქვს თითქმის სამყოფი ნავთობის მარაგი. ენერგომატარებლებით და ნავთობპროდუქტებით ევაჭრება რუსეთი ნახევარ მსოფლიოს, მათ შორის ჩვენც და თავის პოლიტიკას ნავთობპროდუქტებს აბავს. საკუთარი ნავთობის მოპოვების გაზრდით საწვავის ფასებიც დაიწევს. და რაც გვაკლია მთვარი ერთი დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა. ჯერ კიდევ როტშილდების დროს ფოთში და ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები იყო. ისინი ჰაერზე არაფერს აკეთებდნენ. სულ მცირე ნახევარ საუკუნეზე ჰქონდა მოგება გათვლილი. საჭიროა თანამედროვე გამწმენდი ნაგებობები ფოთში და ბათუმში, რადგან დიდი ტანკერები ტონობით ნავთობს ღვრიან შავ ზღვაში. ამით ნადგურდება შავი ზღვის ფლორა. ალბათ გინახავს ზღვის სანაპიროზე გამორიყული მკვდარი თევზები, ზოგი სახეობა საერთოდ გადაშენდა. როცა ანაკლიის პორტი ამუშავდება, იქ ეს პრობლემები არ იქნება, რადგან თანამდეროვე სტანდარტის გამწმენდი ნაგებობებიც ექნება, ძველი პორტებიც განიტვირთება და ეკოლოგიაც გაუნჯობესდება.

- ეჰ ჩემს ბავშვობაში ზღვაში კენჭებს დაითვლიდი.

გუგა გულისყურუთ უსმენდა პაპას, წელს აბიტურიენტი იყო, სპეციალობის არჩევაში ეკოლოგიისკენ იხრებოდა, თუმცა არჩევანი ჯერ ვერ გაეკეთებინა. პაპასთან საუბრის მერე არჩევანი გეოლოგიურზე შეაჩერა. ახლა პაპას აცნობდა თავის კრეატივებს უსაფრთხო და უნარჩენო წარმოებაზე.

-ამათი საუბრის შემყურე, პენსიონერმა ექიმმა ბებომ გურამის შეახსენა რომ ნავთობპროდუქტისგან მრავალი წამალი მზადდებოდა.

-მე მარტო ვაზელინი ვიცოდი, გაეხუმრა გურამი.